



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო



დადგენილება:დ-87. 8723214001

თარიღი:02/08/2023

დადგენილება №22

ცალკეულ სამართალდარღვევებზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 209³ მუხლის პირველი, მე-2, 2¹, მე-3 და მე-4 ნაწილების შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს:

- ა) ცალკეულ სამართალდარღვევებზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის, გამოყენების, ჩაბარებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი (დანართი №1);
- ბ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა (დანართი №2)
- გ) საჯარიმო ქვითრის ფორმა (დანართი №3);
- დ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის აღრიცხვის ჟურნალი (დანართი №4);
- ე) გამოსაყენებლად უვარგისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის ჩამოწერის ფორმა (დანართი №5).

მუხლი 2

ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის ზედამხედველობის და ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირების განყოფილების (შემდგომ - ზედამხედველობის განყოფილება) საჯარო მოსამსახურეებს მიენიჭოთ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის, 209³ მუხლით (გარდა ამ კოდექსის 46⁵, 46⁶, 172⁸ და 172⁹ მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისა), საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“ (შემდგომ - „ნარჩენების მართვის კოდექსი“) 31-ე-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის და საჯარიმო ქვითრის შედგენის უფლებამოსილება.

მუხლი 3

„ნარჩენების მართვის კოდექსის“ 31-ე-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით გათვალისწინებულ

სამართალდარღვევებზე და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე, რომლებზედაც ოქმის შედგენის უფლებამოსილება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე მუხლით მინიჭებული აქვს მუნიციპალიტეტს (გარდა 43¹, 43², 46⁵, 46⁶, 172⁸, 172⁹ მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისა), აგრეთვე, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-80 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის (როდესაც ადგილზე არ შედგება საჯარიმო ქვითარი) უფლებამოსილება მიენიჭოს ზედამხედველობის განყოფილების საჯარო მოსამსახურებს.

მუხლი 4

ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის, ბავშვის უფლებათა დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების (შემდგომ - ბავშვის უფლებათა დაცვის და მხარდაჭერის განყოფილება) საჯარო მოსამსახურებს მიენიჭოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 46⁵, 46⁶, 172⁸ და 172⁹ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის უფლებამოსილება.

მუხლი 5

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ახმეტის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებისათვის საჭირო დოკუმენტების აღრიცხვა-ანგარიშების წესის, ამ დოკუმენტების ფორმებისა და ნიმუშების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის 2011 წლის 16 დეკემბრის N56 დადგენილება (ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 29/12/2011, სარეგისტრაციო კოდი: 020080130.35.162.016080).

მუხლი 6

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 1 ოქტომბრიდან.

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



საჯარიმო ქვითარი - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი

<p style="text-align: center;">ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია</p> <p>ნაწილი I</p> <p style="text-align: center;">საჯარიმო ქვითარი</p> <p style="text-align: right;">ბ.ა.</p> <p>ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №000000000</p> <p>1. შედგენის თარიღი: _____ 2. შედგენის ადგილი: _____ (რიცხვი, თვე, წელი)</p> <p>3. ოქმის შემდგენლის თანამდებობა, სახელი, გვარი: _____ _____</p> <p>4.სამართალდამრღვევის მონაცემები: _____ _____</p> <p>ფიზიკური პირი (პირადი ნომერი, სახელი, გვარი, მისამართი); _____ _____</p> <p>იურიდიული პირი (დასახელება, მისამართი და გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო კოდი)</p> <p>5.სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო, არსი: _____ _____ _____</p> <p>6.1.პასუხისმგებლობა აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის _____ მუხლის _____ ნაწილით, რომელიც ითვალისწინებს ჯარიმას _____ ლარის ოდენობით.</p> <p>6.2.პასუხისმგებლობა აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის განსაზღვრულია ნარჩენების მართვის კოდექსის _____ მუხლის _____ ნაწილით,</p>	<p style="text-align: center;">ნაწილი II.</p> <p style="text-align: center;">საჯარიმო ქვითრის ყუა</p> <p style="text-align: center;">№000000000</p> <p>ეს ნაწილი რჩება საბანკო დაწესებულებაში</p> <p>1. _____ _____ (გადამხდელის სახელი და გვარი, პირადი ნომერი)</p> <p>2. _____ _____ (გადამხდელის მისამართი)</p> <p>3. _____ _____ (ჯარიმის ოდენობა)</p> <p>4.1. _____ _____ (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მუხლი)</p> <p>4.2. _____ _____ (ნარჩენების მართვის კოდექსის მუხლი)</p> <p>5. _____ _____ (სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი)</p>
---	---

<p>რომელიც ითვალისწინებს ჯარიმას _____ლარის ოდენობით.</p> <p>7. _____</p> <p>_____</p> <p>მოწმის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახელი, გვარი, პირადი მონაცემები</p> <p>8. ოქმს ერთვის დამრღვევის ახსნა-განმარტება, _____</p> <p>_____ (ახსნა-განმარტების და სხვ. დოკუმენტის არსებობისას მიეთითება მისი რეკვიზიტები, ფურცლების რაოდენობა)</p> <p>9. მიმღები მოლარე: _____</p> <p>_____ (ხელმოწერა და თარიღი) (საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი)</p> <p>მოწმის ხელმოწერა: _____ ოქმის შემდგენლის ხელმოწერა: _____</p> <p>სამართალდამრღვევი: _____</p> <p>_____ (ხელმოწერა, ხელმოწერაზე ან ქვითრის ჩაბარებაზე უარის თქმის შესახებ აღნიშვნა)</p> <p>შენიშვნა: -----</p> <p>-----</p> <p>-----</p>	<p>6. _____</p> <p>_____ (საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი)</p> <p>7. მიმღები მოლარე: _____</p> <p>_____ (ხელმოწერა)</p> <p>8. შემომტანი: _____</p> <p>_____ (ხელმოწერა)</p> <p>_____ ბ.ა.</p> <p>თარიღი: _____</p> <p>_____ (რიცხვი, თვე და წელი)</p> <p>საჯარიმო ქვითრის ყუა ივსება საბანკო დაწესებულების ან საჯარიმო თანხის შემომტანის მიერ.</p>
--	---

უკანა მხარე

საჯარიმო ქვითრის (ოქმის) შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული თავისი უფლებები და მოვალეობები:

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საჯარიმო ქვითარი (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი)/ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება.

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებისა და სამართალდარღვევის საქმეზე შედგენილი საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ახმეტის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ქალაქი ახმეტა, ჩოლოყაშვილის ქუჩა N49) 10 დღის ვადაში გასაჩივრების შესახებ, ხოლო საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებულ შემთხვევაში, ამ კოდექსის 47-ე მუხლის მე-16 ნაწილით გათვალისწინებული უფლებისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე შედგენილი საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის 10 დღის ვადაში სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თელავი, აღმაშენებლის ქუჩა N41) გასაჩივრების შესახებ.

დაკისრებული ჯარიმის გადახდის ვადაა საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის სამართალდამრღვევისათვის ჩაბარებიდან 30 დღე. განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ჯარიმის იძულებითი აღსრულება მოხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დამკვეთი: ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია

დამამზადებელი:

მისამართი:

სემგს-ს რეგისტრაციის N

დანართი №4

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის, საჯარიმო ქვითრის -
ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების აღრიცხვის ჟურნალის ფორმა

N	გაცემის თარიღი	ოქმის, საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ნომერი	ოქმის, საჯარიმო ქვითრის (ოქმის) გამცემი				ოქმის, საჯარიმო ქვითრის (ოქმის) მიმღები				შედგენილი (გამოყენებული) ოქმები, საჯარიმო ქვითრები (ოქმი)				დაბრუნებული/ გაუქმებული/ ოქმები, საჯარიმო ქვითრები (ოქმები)				შენიშ ვნა	
			გვარ ი	სახე ლი	თანა მდებ ობა	ხელმ ოწერ ა	გვარ ი	სა ხე ლი	თან ამ დებ ობა	ხე ლ მ ო წერ ა	გვ არ ი	სა ხე ლი	თან ამ დებ ობა	ხე ლ მ ო წერ ა	დაბ რუნ ები ს თარ იღი	აქ ტი ს ნო მე რი	გ ვ არ ი	სახ ელი		ხელმ ოწერ ა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21

გამოსაყენებლად უვარგისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის,
საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების ჩამოწერის შესახებ აქტის ფორმა

აქტი N

გამოსაყენებლად უვარგისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის
ოქმის, საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების ჩამოწერის შესახებ

(აქტის შედგენის თარიღი)

----- 20 წელი

N	რაოდენობა	ოქმის ინდივიდუალური ნომერი/ნომრები	შენიშვნა

ხელმოწერით ვადასტურებთ აქტის მიხედვით წარმოდგენილი უვარგისი ოქმის ფორმების
ჩამოწერის სისწორეს: